სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 37 სექტემბერი 1 1896 წ. № 37

შინაარსი: მიეშველეთ ნოვოროსიელ ქართველებს გ. წერეთელისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საყურადღებო ამბები.—*** ლექსი დუტუ მეგრელისა.—გიმნაზიის მოწაფე ქალთა მოგზაურობა, წერილი მესამე ელიკოსი.—კრიტიკული შენიშვნა ი. გ—რისა.—პოეტის სიტყვა ლექსი ექვ. კოპლატაძისა.—ენის წარმოდგომაზე (დასასრული), პ. გ. ჭარაიასი.—კარცერი და ტუიკჭორა ძველის ძველი ამბავი, პ. გოთუასი.—საქველ-მოქმედო საქმე და კერძო განცხადებანი.—

,,კვალის" ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვისაც ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

ი. ოცხელისა

(ქუთაისში)

გამართულია ვარფოლომეევის სახლში დადიანის ქუჩაზე.

სასწავლებელი ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის მოსამზადებელსა და პირველ კლასებისათვის, სა ყმაწვილო ბაღი მიზნათ ილებს აღზარდოს ყმაწვილები 5—7 წლ. სამშობლო ენაზე, ფრებელის სისტემით.

სასწავლებელში ყმაწვილები მიიღებიან პირველ სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე, ხოლო საყმაწვილო ბაღში ყოველ დროს მთელი წლის განმავლობაში. თვიური გადასახადი დანიშნულია სასწავლებელში 10 მან. და საყმაწვილო ბაღში 5 მან.

(4—1)

მიეშველეთ ნოვოროსიელ ქართველებს.

ფრიად საგულისხმო საქველ-მოქმედო საქმე ისტამბება ამ ნომერში, ჩვენ მკითხველებს ვეხვეწებით გულ დასმით წაიკითხონ აქ დასტამბული ცნობა, გონების თვალი გაავლონ ამ საქმეს და შესაფერი გულ-მხურვალეობაც აღმოუჩინონ.

ჩვენს საქართველოში ადგილ-მამულის სივიწროვე დიდი ხანია შენიშნულია, მაგრამ აღმოსავლეთის საქართველოს, ესე იგი თფილისის გუბერნიას, მაინც ისე არ აწუხებს ეს გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა, როგორც დასავლეთის ქართველებს, ესე იგი ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებს. აღმოსავლეთის საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოთ აქვთ ქართველებს თავის გამოსაკვები ნიადაგი; მაგრამ დასავლეთის ქართველებს კი, დიდი ხანია, აღარ ყოფნისთ თავისი მიწა-წყალი. იქ ხშირათ არის, რომ გლეხს ხულ ქცევა ნახევარი, ანუ ერთი დღიური მიწაც არა აქვს, უმიწა-წყლო გლეხები და წვრიმალი აზნაურობაც წლითი-წლობამდე მრავლდებიან. ქართველი ხალხი უმიწა-წყლოთ თან-და თან

უფრო უნუგეშო მდგომარეობაში ვარდება და დღემდის ვერა მოუხერხებიარა, რა რიგათ შეეწიოს თავის თავს, რა მოაგვაროს, როგორი მალამო დაადვას ამ ტკივილს. განა კავკასიის აქეთა მხარეში ცოტაა ადგილი?.. მაგრამ იქ, სადაც ოდესმე ქართველების სამკვიდრო ადგილ-მამული ყოფილა, დღეს უცხო ქვეყნებიდან მოდიან გადმოხიზნულნი და ესახლებიან. ყველას თავის პატრონი ჰყავს, ყველა თავის გვარს კერძობს ამ საქმეში. მხოლოთ ქართველ ხალხს არა ჰყავს აქ თავისი პატრონი, რომ უწინამძღვროს ამ საქმეს, იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან, გააგებინოს მას ქართველი უმიწა-წყლო ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა, აუხსნას, რომ ქართველი სხვაზე კიდევ უფრო ერთგული ქვეშევრდომია რუსეთის ხელმწიფობისა და იმასაც ისეთივე მზრუნველობა უნდა, როგორც მკვიდრს რუსეთისას, რადგან ყოველ ქართველს აქამდის თავგანწირულათ უბრძვია რუსეთის გულისთვის და აწც მისთანა მუყაითი დამცველი სახელმწიფო ინტერესებისა რუსის მთავრობას კავკასიაში სხვა არავინა ჰყავს. ნუთუ შავი ზღვის პირათ ოსმალები, ბოლგარები, ბერძნები და ჩეხები, რომელთაც ხელს უწყობენ და ასახლებენ, უფრო ერთგული დამცველები იქნებიან შიშიანობის დროს რუსეთის სამფლობელოსი, ვიდრე ქართველები, ესე იგი გურია-სამეგრელოსა და იმერეთის მცხოვრებნი, რომელთაც ათასი წელიწადი შეუნახავთ ქრისტიანობისთვის ეს ნხარე და ბოლოს თავის ნებითვე გადაუცია ერთ მორწმუნე ხელმწიფე იმპერატორისათვის თავისი სამშობლო მისი ძლიერების გასამტკიცებლათ? განა შესაძლოა წარმოიდგინოს კაცმა, რომ გურია-იმერეთის და სამეგრელოს მცხოვრებლები უფრო ნაკლებათ დაიცვენ შავი ზღვის პირებს შემოსევისაგან, ვიდრე თვით მკვიდრნი რუსეთისანი?.. სრულიათაც არა. ეს შეცდომაა, თვალის აბმაა მთავრობისა. ჩვენ გვინახავს, რომ როცა მტერი შემოსულა შავი ზღვის პირათ, რუსეთის მკვიდრნი მაშინვე აბარგებულან და ისევ შიგნით რუსეთში გადასახლებულან, მაშინ, როდესაც გურულებს, მეგრელებს და იმერლებს უკანასკნელ სისხლის ცვარამდის უბრძვიათ მტრის წინააღმდეგ. გვიხსენოთ ყირიმის ომის დროს ომერფაშის შემოსევა და მეგრელ-გურულების თავგამეტებული ბრძოლა მტერთან ხელმწიფის ერთგულებისთვის. გვიხსენოთ თუნდ უკანასკნელი ომი ოსმალეთთან, როცა სამეგრელო-გურიის და იმერეთის ხალხი თავგამეტებით ეჯახებოდა შემოსულ მტერს. რამდენმა გურულმა, მეგრელმა, იმერელმა და ქართლ-კახელმა დადვა აქ თავი ქვეყნისთვის და ხელმწიფის ერთგულებისათვის. გვიხსენოთ კ. მიქელაძის, ილ. ჩოლაყაშვილის წამებული სიკვდილი, გრიგოლ გურიელის თავგანწირული მოქმედება და მრავალი სხვა. მარტო ციხის-ძირის ბრძოლაში ორასი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე. ახლა კი გვეუბნებიან. არა, ვერც მეგრელს, ვერც გურულს, ვერც იმერელს და ქართლ-კახელს ვერ დავასახლებთ შავი ზღვის პირათო. ჩვენ ეს არ გვჯერა და ასეთი პასუხი წინააღმდეგიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობის ნებისა. აქ უეჭველია კერძო ადმინისტრატიული მოხელენი ურევენ საქმეს, ალბათ რაიმე საკუთარი ანგარებისათვის. ამას უნდა დაედვას საზღვარი. შავი ზღვის პირები ყველა რუსის ერთგულ ქვეშევრდომთათვის უნდა იყოს კარგაღებული დასასახლებლათ. ამას მოითხოვს სახელმწიფო სარგებლობა. ამის გამო ნოეოროსიელ ქართველების კეთილ განზრახულებას არა დაუდგებარა წინ. ისინი ამ შემთხვევაში დიდ ღვაწლსაც გაუწევენ რუსის ხელმწიფობას, თუ კი მოახერხებენ სხვათა შორის უადგილ-მამულო ქართველების დასახლებასაც შავი ზღვის პირის სხვა-დასხვა კუთხეებში. მაგრამ ამ დიდ საქველ-მოქმედო საქმეს მარტო ნოეოროსიელი ქართველების კეთილი განზრახულება არ ეყოფა. აქ ყოველმა ქართველთა-განმა უნდა მივაწვდინოთ მათ რაიმე შემწეობა. რაც უნდა შეეწროებული იყოს კაცი თავის სამშობლო სოფელში, ის მაინც აგრე ადვილათ ვერ დააგდებს თავის მამა-პაპეულს და ვერ გადასახლდება შორეულ ქვეყანაში, თუ იმას ჩვენმა მოწინავე თაობამ ხელი არ გაუმართა. ამის გულისთვის საჭიროა ყოველ საქართველოს ქალაქში დაარსდეს მოწინავე ინტელიგენციის წრეები. ამათ უნდა იქონიონ პირდაპირი დამოკიდებულება ნოეოროსიის გახიზნულთა შემწე საზოგადოებასთან, აგროვონ შემოწირულება გახიზვნის მსურველთათვის, გაიგონ რომელი კუთხე შავი ზღვის მხრისა უფრო შეეფერება ჩვენი ქვეყნის ჰავას, ნიადაგს, რომ უადგილ-მამულო კაცებს იქ ურჩიონ დასახლება და პირველ შემთხვევაში ნივთიერი შემწეობაც აღმოუჩინონ. ამასთანავე საჭიროა ალაგობრივ ნოეოროსიის მთავრობასთან და რუსეთის გახიზნულთა კომიტეტის წევრებთან გამართოს ერთმა რომელიმე ქართველმა მცოდნე და გავლენის მქონე პირმა კეთილი განწყობილება და მათთან შეთანხმებით იმოქმედოს. საჭიროა აგრეთვე თავისი განზრახულება მოკლეთ გამოთქვას წერილში ნოეოროსიის გახიზნულ ქართველთა შემწე საზოგადოებამ და ასეთი წერილები გაუგზავნოს საქართველოში ყოველ პატივცემულ ქართველს, სამღვდელო პირი იქნება იგი, სახელმწიფო მოხელე, თუ კერძო ქველის მომქმედი, სულ ერთია. აგრეთვე უნდა მიიქცეს იგი წერილებით ჩვენი ბანკების და ყოველი სამრეწველო წარმოებათა გამგეობის მიმართ. აი, ამგვა-

რი მოქმედებით დაიმსახურებს ნოვორ·სიის გახიზნულ ქართველთა შემწეობის საზოგადოება საყოველთაო ყურადღებას. მაგრამ რომ კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატება მიეცეს ამ დიდ მნიშვნელოვან საქმეს, საჭიროა, ჩემის აზრით, ერთი ჩვენი ინტელიგენტთაგანი, რომელიც კი დამოუკიდებელი ცხოვრების პატრონია, საკუთრათ წავიდეს ნოვოროსიაში და მიიღოს თაოსნობა იქაურ გახიზნულ ქართველთა შემწე საზოგადოებისა. მაგრამ რადგან ამ თვისების ინტელიგენტი ძვირათ თუ მოიპოვება ჩვენ შორის, ამისთვის უფრო ემჯობინება, რომ რომელიმე ჩვენი მდიდართაგანი, ანუ თუნდა რომელიმე ბანკი აიღოთ, ის იკისრებდეს ჯამაგირის მიცემას იმ ინტელიგენტისათვის, რომელიც ღირსი იქნება იქ გაგზავნისა სამოქმედოთ. ამიერიდან ყოველიფე შეწირულება შავი ზღვის პირათ გახიზნულ ქართველთა დასახმარებლათ უნდა გაიგზავნოს იმ ადრესით, რომელიც მოყვანილია აქ დასტამბულ ნოვოროსიიდან წარმოგზავნილ წერილში.

გ. წერეთელი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

პეტერბურგიდან გაზ. „Нов. Обоз.“-ეს ატყობინებენ, ხელმწიფე იმპერატორს უბრძანებია, რომ 12 მილიონიდან, რომელიც დანიშნულია წელს არა-ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, 12,250 მანეთი მიეცეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ, რომელთაც ზარალი მოუვიდათ წყალ-დიდობის და დიდი თოვლისაგან.

***

სარწმუნო წყაროდან ჩვენ შევიტყვეთ, რომ სოფ. პატარა თამარაშენში ფილოქსერა აღმოუჩენიათ. როგორცა ჩანს დღეს მთელ ქართლში უნდა იყოს ფილოქსერა მოდებული.

***

რკინის გზით მოგზაური გვწერს: წარსულ კვირაში, ვისაც შეხვდა ბათუმში და ქუთაისში მოგზაურობა საშინელ სიცხეებს გრძნობდა, მგონი კვერცხი შეიწოდა მზეს ისე პაპანება გაქონდა. ოთხშაბათს, 28-ს, სანამ ყვირილაში მოვიდოდა მატარებელი, ცხელოდა, აქ დაუშვა უცბათ წვიმა. სადგურ ძირულას რომ მივედით მთებიდან ნაკადულები წამოვიდა, მაშინვე ჩამოწვა მიწის ზვავები და ჩვენ დავრჩით სადგურზე. შიმშილი მოგვველოდა. ასე ორი სამი საათი ველოდით. ვინც გზების შეკეთებას უგდებს ყურს, ჩვენთან იყო. ჯერ ეძინა და როდესაც გაალვიძეს, თამაშას უცქეროდა, ჩაის მოყვარულები როგორ დადიოდენ ცხელი წყლის საძებნელათ. ბოლოს ორ-სამ საათს შემდეგ, იწამეს ღმერთი და უკანვე ყვირილაში წაგვიყვანეს. იქ ასე გვანუგეშებდენ: ნუ გეშინიათ, მშიერი აღარ დარჩებით, ყვირილას შეუძლიან თუნდაც სამი-ოთხი დღე შეგინახოთო. მეორე დღეს, ძლივ-ძლიობით წამოგვიყვანეს თბილისში. თუ ნახევარ საათის წვიმამ ასე გააფუჭა გზა, სხვა დროს რას უნდა მოველოდეთ. მახლას...

***

რუსეთის გაზეთების სიტყვით, ამას წინეთ უწმინდესი სინოდის წევრთ, სასულიერო აკადემიათა რჩევას და ზოგიერთ ეპისკოპოზსთ გაეგზავნათ განსახილავათ პროექტი, რომელიც ეხება საშუალ სასულიერო სასწავლებლებში ცვლილებათა შემოღებას, აი, უმთავრესი ამ ცვლილებათაგანი: 1) კლასიკურ ენათა გაკვეთილების რიცხვი სემინარიებში და სასულიერო სასწავლებლებში შესამჩნევათ უნდა შემცირდეს; ამ ენებისათვის მხოლოთ ერთი მასწავლებელი იქნება; უნდა გადიდდეს რიცხვი ღვთისმეტყველურ საგნების გაკვეთილებისა, სავალდებულოთ უნდა დარჩეს მკურნალობის სწავლება და აგრეთვე უნდა დაწესდეს საეკლესიო უფლების, საეკლესიო არქეოლოგიის და სასოფლო მეურნეობის კათედრები. 2) საღმრთოწერილის და სპეციალურ ღვთისმეტყველურ საგნების მასწავლებლებათ უნდა იყვენ სამღვდელო პირნი; სამღვდელო პირნივე უნდა იყვენ სემინარიების ინსპექტორები და ზედამხედველნი თავის თანაშემწეებით სასულიერო სასწავლებლებში. 3) სემინარიის ეკლესიებში ყოველ დღე უნდა იყოს წირვა, რომელზედაც უნდა ესწრებოდენ რიგ-რიგათ მაღალი კლასების შეგირდები. 4) სასულიერო სასწავლებელთა სარევიზიოთ უნდა გაგზავნილ იქმნენ სამღვდელო პირნი, და არა საერო როგორც ეს დღემდის იყო ხოლმე.—ამნაირათ, როგორც ვხედავთ, ეს პროექტი ყოველი მხრით ესაბამება სასულიერო უწყების განზრახვას და მის არსებით დანიშნულებას, ამაში ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს; მაგრამ ამას შემდეგ რას ნიშნავს ერთი რუსეთის გაზეთის („Орл. Вѣст.“) ცნობა, რომ მომავალი წლიდან ყველა სემინარიელებისათვის უნივერსიტეტის კარი ღია იქნებაო.

***

სამრეწველო და სააღებ-მიცემო კრებას ნიჟნი-ნოვგოროდში საჭიროთ დაუნახავს, რათა საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი აბრეშუმის ბაჟი აწეულ იქნას, ერთი მანეთიდან 5 მანეთამდის თითო ფუთზე; საჭიროთ დაინახა აგრეთვე, რათა აბრეშუმის სადი თესლის გავრცელებისათვის სხვა-და-სხვა ზომები იქნეს მიღებული. აბრეშუმის ვაჭრობის გასაუმჯობესებლათ კრებამ წარმოთქვა ის აზრი, რომ საჭიროა დაარსდეს განსაკუთრებითი აბრეშუმის გამოსაცდელი დაწესებულება (шелкоиспытательное учреждение) პარკის საწყობებით მოსკოვში, თფილისში, ნუხაში და შუშაში („Кав. Сель. Хоз.").

***

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი", გამოცემა მ. ჯანაშვილისა. წიგნი შეიცავს სულ 125 გვერდს და მასში მოთავსებულია რამდენიმე დღემდი უცნობი შრომანი ფარსადან გორგიჯანიძისა, რომელიც ცხოვრებდა მეჩვიდმეტე საუკუნეში და რომელიც ცნობილია, როგორც ავტორი „საქართველოს ისტორიისა". ამ წიგნის გადაშინჯვამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ აქ მოთავსებული ფ. გორგიჯანიძის შრომანი არაფერ დიდ „საუნჯეს" შეადგენენ ჩვენი ლიტერატურისათვის და იმათი გამოუცემლობა შესამჩნევ დანაკლისათ არ ჩაითვლებოდა. ბ-ნ მ. ჯანაშვილის მიერ გამოცემულ წიგნს თავში მოკლე მიმოხილვა აქვს ჩართული ფ. გორგიჯანიძეზე და ბოლოში დამატება (184—125 გვ.) —კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვები, რომლებიც, რა თქმა უნდა, თვით გამომცემელს (მ. ჯანაშვილს) ეკუთვნიან. მიმოხილვაზე უნდა შევნიშნოთ, რომ ის ვერ იძლევა დასაბუთებულ ცნობებს ფ. გორგიჯანიძეზე. რაც შეეხება დამატებას, ის ჩვენი ენისმკვლევართათვის იძლევა საინტერესო მასალას, რომელსაც უსათუოთ გამოიყენებენ სპეციალისტები.

***

ამ ჟამათ დიდი სჯა-ბაასია ატეხილი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობაში შესახებ ერთი გარდაწყვეტილებისა, რომელსაც დაადგა სამრეწველო და სააღებ-მიცემო კრება ნიჟნი-ნოვგოროდში. ეს არის სამეურნეო მაშინების ბაჟ-ს შემცირება. პირველათ ეს კითხვა განიხილეს ცალკე სექციაში, სადაც ორი დღის კამათობას შემდეგ იმ აზრს დაადგინ, რომ საჭიროა ხსენებული ბაჟის შემცირება; მაგრამ რადგანაც ეს გადაწყვეტილება წარმოდგენილი იყო 52 ხმით, და 44 კი ამის წინააღმდეგი იყო, იმიტომ ეს კითხვა ხელ-ახლა დაყენებულ იქნა საზოგადო სხდომაზე. ეს კითხვა ფინანსთა სამინისტროს მიერ ამნაირათ იყო დაყენებული: „სამიწათ-მოქმედო მაშინებს და იარაღების ბაჟის შემცირება რა სახით იქნება სასარგებლო მიწათ-მოქმედებისათვის?" როგორც ვიცით, საზღვარ-გარეთის მაშინები კარგებია, მაგრამ იმათ გავრცელებას ხელს უშლის დიდი საბაჟო გადასახადი, რაც შესამჩნევათ ადიდებს იმათ ღირებულებას. მფარველობითი ბაჟი (Покровительственныя пошлины), რომელიც ამხნევებს და ხელს უწყობს შინაკან წარმოებას, რაც სასარგებლოა მხოლოთ რამდენიმე მექარხნეთათვის, სულს უხუთავს მიწის-მფლობელთ. საზოგადო სხდომაზე კრების უმეტესობამ, 140 ხმა 63 ხმის წინააღმდეგ, საჭიროთ დაინახა ამ ბაჟის შემცირება.

ამ ნაირათ სააღებ მიცემო და სამრეწველო კრებაზე ერთი ერთმანეთს დაეტაკენ ორი ჯგუფი ერთი და იგივე კლასისა; ეს კლასი არის კაპიტალის პატრონი, მხოლოთ სხვა-და-სხვა სფერაში. დარწმუნებით არ ვიცით, თუ რომელი იმათგანი გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში. მაგრამ საქმე ის კი არ არის, დღეს გაიმარჯვებს რომელიმე იმათგანი, თუ ხვალ; საქმე ის არის, რომ დღეს იქნება თუ ხვალ თავისუფალი აღებ-მიცემობა უსათუოთ გაიმარჯვებს. ამ ჟამათ ის შეგვიძლია მხოლოთ ვთქვათ, რომ მთავრობა მრეწველთა და აღებ-მიმცემთა მხარეზეა. ყოველ შემთხვევაში ეს ბრძოლა კარგის მომასწავებელია რუსეთის ცხოვრებაში.

საყურადღებო ამბები.

პეტროვსკი (დაღესტანის ოლქი). 1893 წ. აქ დაარსდა აგრეთ წოდებული „ტუსაღთა ზნეობის გამსწორებელი საპყრობილე", (Исправительное арестантское отдѣленіе) სადაც განსაზღვრულ ვადით იგზავნებიან დამნაშავენი მთელის ამიერ და იმიერ კავკასიის მხრიდან, იმათ რიცხვში ხვდებიან რასაკვირველია ქართველებიც, საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან. პატიმარი დანიშნულ ვადის გათავებას შემდეგ, უბრუნდება თავის საზოგადოებას, თუ ეს უკანასკნელი მოისურვებს და მიიღებს დასჯილ შვილს და თუ არა, მაშინ მას გადაასახლებენ ციმბირში სამუდამოთ. ქართველ პატიმართა შორის მომეტებული ნაწილი ახალგაზრდობაა, ჯანით და ღონით სავსე, რომელიც ზნეობით სრულიად ჯერ

არ არის დაცემული, და მხოლოთ სამწუხარო შემთხვევის მსხვერპლნი არიან. სხვათა შორის, მომეტებული ნაწილი კახეთიდან და ქართლიდან არიან დასჯილნი კაცის მკვლელობისთვის მამულის თაობაზე. იმერეთიდანაც თითქმის ნახევარი ამნაირ უბედურ შემთხვევათა მსხვერპლია, დანარჩენი კი ყალბი ქაღალდის შედგენისთვის, ტყუილი ფიცისთვის, ტყუილათ დაბეზღებისთვის და ქურდობისთვის, უმეტესათ მეგრელები. არიან აგრეთვე ახლათ შემოერთებული მხრიდან გათათრებული ქართველები, ბოქაულის, ან მამასახლისის წინააღმდეგობისათვის. ყველა ესენი ჯერ კიდევ ზნეობით ისე დაცემულნი არ არიან რომ იგინი სამუდამოთ უვარგისნი დარჩენ და საზოგადოებისათვის მავნებელი.

მათი, როგორც საზოგადოთ ქართველი კაცის, უსაზღვრო სიყვარული თვის მიწა-წყლისადმი იმის საბუთს იძლევა, რომ ისინი შემდეგში საზოგადოებისათვის არ იქნებიან მავნებელნი. მაგრამ, უბედურება ის არის, რომ ეს ორი წელიწადია ჩვენი სოფლების საზოგადოებანი შეუბრალებლათ ისტუმრებენ თავის შვილებს, თუმცა უბედურ შემთხვევათა გამო დანაშაულის ჩამდენთ, ციმბირისაკენ!.. ეს ორი წელიწადია ოც კაცამდე გაუმგზავრებიათ ცივ ქვეყნებისაკენ. ნეტა რას ფიქრობენ ჩვენი სოფლების საზოგადოებანი? ნეტა საიდან შეუძენიათ იმათ ამნაირი გულქვაობა? მომეტებული ნაწილი განაჩენი არის უფრო კახეთიდან და იმერეთიდან. აი, რას წერდა თავის საზოგადოებას ამის წინათ ნინია ფროდიაშვილი, ცოლის და ექვსი შვილის პატრონი, რომელიც 21 მაისს გაგზავნეს ციმბირში: „რა დამიშავებია, ვის რა წავართვი, ეგ ერთი უბედურება დამემართა, კაცი შემომკვდა და ამოტელა ტანჯვით რით ვერ გამოვიყიდე. რაზე მკარგავს საზოგადოება, ცოცხლივ მაშორებს ჩემს საყვარელ ცოლშვილს. კანონმა დამსაჯა და მეც დავემორჩილე, საზოგადოებამ რათ მომიძულა, ვის რა დავუშავე“... ნეტავი შენ მკითხველო, რომ ჩემებრ არა ხარ იძულებული უყურო და ნახო ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლი და ხორცი იმ დროს, როდესაც იგინი თავიანთ მშობელ ქვეყნისაგან განწირულნი მიემგზავრებიან ცივ ქვეყნებისაკენ სამუდამოთ. ოჰ, თუ რა გულსაკლავი სასოწარკვეთილება იხატება ხოლმე იმათ სახეზე! რა საშინლათ გულდათუთქულნი მალ-მალ გაიხედებიან იმ მხარეს, „სად მამა-პაპა ეგულვით და მათი კუბოს ფიცარი“. მე მოვალეობა მაიძულებს, რომ ყველა ტუსაღი, რომელსაც, ციმბირში აგზავნიან, უსათუოთ უნდა ვნახო გამგზავრების დროს. არც ერთი ტუსაღი, სხვა ტომისა არ მინახავს ისე მოკლული, ისე გამწარებული და ისე შესაბრალისი, როგორიც არიან ხოლმე ქართველები.

ბევრი გაჭირვება ადგიათ აქ პატიმრებს, და მათ შორის ქართველებს უფრო, მაგრამ ქართველობა ისე ვაჟკაცურათ იტანს დანიშნულ სასჯელს, რომ ერთხელაც არ შემიმჩნევია სულ-მოკლეობა და დაღრეჯილობა. ყველანი მხნეთ იტანენ ტანჯვას, ყოველთვის ეტყობათ რომ დღე და ღამე იმაზე ფიქრობენ, როდესმე მაინც დაებრუნდებით ჩვენ ქვეყანაშიო და ამ დროს კი ეუბნებიან: საზოგადოებამ არ მიგიღოო, ციმბირში უნდა წახვიდეო!.. ამ სიტყვებს შემდეგ სრულებით ველარ იცნობ ჭირის ამტან ქართველ კაცს... შესაბრალისი სანახავია ხოლმე მაშინ ისიც და მეც, მკითხველო, რომ იძულებული ვარ ვიყო ხოლმე ამის მოწმე. არა, ეს რაღაც უცნაური ჭირი შემოჩვეია ჩვენ სოფლებს! ვინ ქართველი-და ვინ გულქვაობა. ამ სენს რაიმე წამალი უნდა. საჭიროა შეაგონონ ხალხს თავიანთი შვილების შეუბრალებლათ განძევებას, თუ რა ცუდი შედეგი აქვს. შეაგონონ, რომ მშობლისაგან შობილის განწირვა დასაკარგათ ცოდვაა და სირცხვილი.

მდ. ი. შანავაძე.

*
* *

გუდაუთი (აფხაზეთი). დიდ განსაცდელშია დღეს ჩავარდნილი გუდაუთის მაზრა უექიმობის გამო. როგორც თვით დაბა გუდაუთში, ისე სოფლებშიაც იმნაირათ გაძლიერებულა ციებ-ცხელება, რომ ერთ ოჯახს ვერ ნახავთ, სადაც ავათმყოფი არ იყოს. განსაკუთრებით ამ სიცხეების გამო დიდ გაჭირვებაში ჩაგდო ხალხი ცხელებამ. ადამიანს შიგნით ტანში უჩნდება სიცხე, გარედან კი გრილია, თავბრუ ესხმება, პირიდან აღებინებს, სხეულს უსუსტებს, სიცხე გადადის თავში და თუ თავის დროზე ვერ მოეშველენ, უჩნდება ანთება, რომლიდანაც უპატრონობის და მოუვლელობის გამო ძრიელ ცოტა რიცხვი რჩება. გახდება თუ არა ვინმე ავათ კარებზე სამი-ოთხი მკითხავ-მატყუარა მიადგებიან და ყველა მათგანი საუკეთესო ცოდნას იჩენს. ამათი აქიმობა კი ყოველთვინ უბედურებით ბოლოვდება ხოლმე, ამის დასამტკიცებლათ არა ერთი და ორი ფაქტიც შეიძლება მოვიყვანო, თუ რომ საჭირო იქნება.

ჩემის აზრით დროა ახლა მაინც მივაქციოთ ყურადღება ამ სამწუხარო გარემოებას. ყოველ შემთხვევაში, მიუცილებლათ, საჭიროა ექიმის მოწვევა მთელი გუდაუთის მაზრისათვის. ყველა დარწმუნებულია, რა ძვირათ ჯდება სოხუმიდან გამოწერა ექიმისა, რომელიც მხოლოთ მაშინ მოაწვევს, რო-

ცა ავათ მყოფს მოსარჩენი პირი აღარა აქვს; რასაკვირველია ამ შემთხვევაში ექიმი ეველარაფერს უშველის. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, რომ ამ ნაირათ მოწვეული ექიმი ავათმყოფს ცოცხალსაც ველარ უსწრებს. აუცილებლათ საჭიროა, ამ საქმეს რაიმე კეთილი დაბოლოვება მიეცეს.

თ. გოგიტიძე.

* * *

სარგაული (შორაპნის მაზრა). აქაურმა ინტელლიგენციამ განიზრახა წარმოდგენის გამართვა ადგილობრივ ორკლასიან სკოლის სასარგებლოთ, რომელიც, უნდა მოგახსენოთ სიმართლე, მცხოვრებთა დაუდეერობისა გამო უკიდურეს მდგომარეობაშია.

ყმაწვილები ენერგიულათ შეუდგენ საქმეს: ყველაფერი საჭირო მასალა წარმოდგენისათვის დაამზადეს, მოიწვიეს რამდენიმე პირი სხვა-და-სხვა ადგილებიდან და სხვ. შემდეგ მიმართეს ადგილობრივ ბოქაულს. ნება-რთვის ასაღებათ. მაგრამ ამ უკანასკნელმა ამაზე უარი განაცხადა. ამის თაობაზე შემდეგ ვის არ მიემართეთ, მაგრამ ყოველგან და ყველასაგან უარის გარდა ვერაფერი მიიღეთ. არ ვიცით და ვერ გავიგია რას მივაწეროთ ეს გარემოება. იმ პიესებზე, რომლების წარმოდგენა ჩვენ გვინდოდა, ასე ეწერა: „разрѣшено Главноначальствующимъ на Кавказѣ для представленія во всѣхъ уголкахъ края“. ეგების ხარაგაული არ იყოს საქართველოს ნაწილი —ვინ იცის! ყმაწვილები იმდენათ შეწუხდენ ამ გარემოებით და დაჰკარგეს იმედი, რომ, მგონი, არასოდეს აღარ მოჰკიდონ ამგვარ საქმეს ხელი.

სიკო.

* * *

ქიზიყი. ჩვენ დარბაისელ და დინჯ ქიზიყს ვინ არ იცნობს ჩემო მკითხველო. შედარებით საქართველოს სხვა კუთხეებთან სიდარბაისლით და სიდინჯით მას ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს და სწავლა-განათლებით-კი ყველაზე უკანასკნელი. მართალია, ამ ბოლო დროს ცოტ-ცოტა თითქოს სხვების მიბაძვით ქიზიყელებიც იღვიძებენ აქა-იქა ბჟუტავ მნათობებსავით, თითო-ოროლა ინტელიგენტების დახმარებით, მარამ ეს რომ შეეადაროთ სხვებს, ძალა-უნებურათ მოგვაგონებს იმას, როცა ეტლით მოარულს ვინმე ჭოჭინით გამოუდგება უკან და აბა ჭოჭინით სიარულით რას გაუხდებით. —იქნება, მკითხველმა არ დაიჯეროს ასეთი შედარება, ამიტომ თვით ფაქტებს მივმართოთ. სტატისტიკური ცნობები გვეუბნებიან, რომ მთელს ქიზიყში 54 სოფელია 100,000 მცხოვრებლებით. ამდენი ხალხის გონებითი საზრდოს შეადგენს 10 სოფლის სკოლა, 2 სამოქალაქო სასწავლებელი და ორი თუ სამი რაღაც სამკითხველოს მგავსი. აი, ეს არის და ეს ქიზიყელებს ა

იმის „ზღვა გულის“ საშინელ „კვნესას“
ჩემი ტირილი ვერ შეედრება.

—

არც აკაკისებრ, აზრის ჩამოსხმის
და ლამაზათ თქმის მაქვს მე უნარი,
მის „სუბუქ ფრთითა აღმაფრენ“ ლექსთან
ჩემი ლექსია დასაწუნარი!

—

მაგრამ რა ვუყოთ?.. განა ბნელაში
უბრალო ჭრაქიც არ სწევს სანთლობას;
განა იმისი, ოდნავ მბჟუტავი
სინათლე არ ჯობს სულ არაობას?

—

მეც იმ ჭრაქს ვგევარ, დ̃ თუმც არა ვარ,
ზეგარდმო მადლით უხვათ ცხებული,
გარს შემორტყმულ ბნელს ვფენ მცირე ნათელს,
წმინდა გრძნობითა აღფრთოვანებული!..

დუტუ მეგრელი.

გიმნაზიის მოწაფე ქალთა მოგზაურობა ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზე.

წერილი III

მოვედით თუ არა ნიჟნი ნოვგოროდში, ჩვენი მასწავლებელი მაშინვე წავიდა ბიუროში იმის შესატყობათ, თუ სად უნდა დაგვებინავონ, ჩვენ კი სადგურზე დაგვტოვა. მოუთმენელათ მოველოდით მის მოსვლას, თანაც პლანებს ვაწყობდით, როგორ უნდა დავათვალიეროთ მთელი გამოფენა. გადავწყვიტეთ, ყოველ დღე ორ ორი განყოფილება დაგვეთვალიერებინა და ყოველგან ახსნა მოგვესმინა. გავიდა ერთი საათი, მეორე, მესამე... ჩვენი მასწავლებელი არსად ჩანს.—უთუოთ იქ ჩვენთვის შვენიერ სადგომს ამზადებენ!—ვფიქრობდით.

დაბრუნდა, როგორც იქნა, ჩვენი მასწავლებელი, გამოგვიცხადა, აქაურ ქალების გიმნაზიაში უნდა ჩამოვხტეთო, გაგვიძღვა წინ და წაგვიყვანა. ქალების გიმნაზია კარგა მოშორებით გამოდგა, მაგრამ ჩვენ მხიარულათ მივემგზავრებოდით, კარგი სადგომის იმედი გვქონდა და უცხო ქალაქში სიარულიც გვეხალისებოდა. ელექტრონულმა კონკამ ხომ სულ აღტაცებაში მოგვიყვანა.

მივახწიეთ, როგორც იქნა, გიმნაზიასაც—და აქ კი იმედები გაგვიცრუვდა; შეგვიყვანეს ერთ მორჩილ ოთახში, რომელშიაც ოთხი კედლის, ჭერიატაკის, ფანჯრების, კარის და ერთი დიდი შავი დაფის გარდა არა იყორა.

—აი, ოც-და-ექვსივე აქ უნდა დადგეთ, იმედია კარგათ მოეწყობით!—გამოგვიცხადა ზედამხედველის თანაშემწემ.

სხვა რაღა ღონე იყო, უნდა დავკმაყოფილებულიყავით.

—ლოგინები ხომ მაინც გვექნება?—ვიკითხეთ ჩვენ.

—რამოდენიმე ლეიბი გვაქვს და იყოფინეთ.

შემოიტანეს თერამეტი ლეიბი და ისე მოჰფინეს იატაკი, რომ ფეხის დასადგმი ადგილი აღარსად იყო. ჩვენ მაინც უსიამოვნობას არ ვაცხადებდით, „უფასო სადგომს სხვა რა მოეთხოვებათქო“?—ვეუბნებოდით ერთმანეთს, მაგრამ ამაშიაც მოვტყუვდით! ამ სადგომს უფასო კი ჰქვია, მაგრამ ყოველ დღე ყოველ მოწაფეს მასში სამი შაური ერთმევა. დილაობით, ჩვენ ისევ ლოგინში ვწევართ, რომ შემოვა ზედამხედველის თანაშემწე და სათითაოთ ჩამოგვართმევს სამ-სამ შაურს. ამნაირათ ერთ კვირაში ჩვენგან ერთ ოთახში **30** მანეთამდის მიიღებენ. მგონი „ფასიანი“ რომ ყოფილიყო ეს სადგომი, მაშინაც არ მოეგოთ ამდენი!

აქაური გიმნაზია სულ ავსებულია; რა რუსის ქალაქს იტყვით, რომ იქაურ გიმნაზიელ ქალებს აქ არ მოეყაროთ თავი! ჩვენ ყველა გვიბღვერს და გვერიდება, საშინლათ უკვირთ, რომ თბილისის გიმნაზიაში ისეთივე მოსწავლეები ყოფილან, როგორც იმათში.

—ნუ თუ თბილისში ნამდვილი გიმნაზია გაქვთ?—გამომელაპარაკა კიევის გიმნაზიელი ქალი.

—როგორ თუ ნამდვილი გიმნაზია?

—ისე, გიმნაზიაა თუ დასაწყისი სასწავლებელი?

—დასაწყისი სასწავლებელიც ბევრია და გასათავებელიც. სამი ქალების გიმნაზიაა, სამი ვაჟების, ინსტიტუტი, ზავედენია, პროგიმნაზიები, კორპუსები და სხვა-და-სხვა... ცოტა წავუმატე მეც.

—მერე ვინ სწავლობს იქ? სულ ლეკებია?—გაკვირვებით მკითხა მან.

—ვინ და ქართველები...

—მერე როცა რამეს უხსნიან სასწავლებელში, გაიგებენ ხოლმე?—გამაწყვეტინა სიტყვა.

მე გაკვირვებით შევხედე, გამოვბრუნდი და აღარ დავათავე ჩვენი საუბარი.

ყველაზე შესანიშნავი აქ ვლადიმირის გიმნაზიელი ქალები არიან. ისინი მთელი ამალით ჩამოვიდნენ; ჩამოჰყვათ თავისი ზედამხედველის თანაშემწე, ორი მასწავლებელი, ექიმი, ორი გოგო და შვეიცა-

რი. გარდა ამისა ყოველმა მათგანმა ჩამოიტანა სახის გასალამაზებელი სხვა-და-სხვა წამლები. ერთ მათგანს წარბების საღები პირისაბან ოთახში დარჩა. ჩვენ, დიდი ხანია, უეაქსობა გეიჭირვებდა საქმეს; ყიდეა ჯერ ვერ მოგვეხერხებინა, გიმნაზიაში კი თითო ფეხსაცმელის გაწმენდაში ორ-ორ შაურს გვართმევდენ; ჩემმა ამხანაგმა იფიქრა, შეგვეწია ღმერთი, ვიღაცას ეაქსი დავიწყებიაო, დააფურთხა ზედ და ფეხსაცმელზე წასმას უპირობდა, მაგრამ საწყალს არ დაეაცალეს! წამლის პატრონი გააფთრებული მიეარდა და გამოსტაცა ხელიდან თავისი საუნჯე.

ელადიმირის გიმნაზიელები „ზემსტვო“-ს ხარჯით არიან გამოგზავნილი. რა ტყუილათ გაუფცქვნიათ საწყალი გლეხები! გამოფენა ისე არ უნახავთ, როგორც მე ჩინეთის იმპერია! დაყენებენ წყეილ-წყეილათ და წაიყვანებენ; გამოფენის ქუჩებზე ისე ნელ-ნელა დაყავთ, გეგონება, ყველას ფეხები აქვთ დამტერეულიო, შველენ რომელსამე განყოფილებაში და ქარიეით გაიქროლებენ, ვერაფრის ნახვას ვერ მოასწრებენ ხოლმე, რადგან მათი ზედამხედველის თანაშემწის აზრით უწესოობაა ახალგაზდა ქალები იქ იყვენ, სადაც ახალგაზდა სტუდენტები უხსნიან ყველაფერს.

ჩვენ სულ სხვანაირათ მოეაწყვეთ საქმე. ჩვენმა მასწავლებელმა სრული თავისუფლება მოგვცა. ჯგუფ-ჯგუფათ დავიყავით და ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი დავდიეართ ერთათ. ფულზე ყველა ცოტა სუსტათა ვართ, ამიტომ თითქმის ყოველთვის ფეხით მიედიართ და მოვდიეართ, თუმცა გიმნაზიიდან გამოფენამდის 7 ვერსამდის არის. გზაზე ცოტა საჭმელს ეყიდულობთ და, დრო რომ არ დავკარგოთ, იქვე სადმე მიეუჯდებით მაგიდას და შეეექცევით.

გამოფენა ყველას ძალიან მოგვეწონა, მიკვირს, როგორ ამბობენ, საინტერესო არა არის რაო. ჯერ მარტო გარეგანი შეხედულობითაც ისეთი კარგია, რომ შეიძლება ადამიანმა დილიდან საღამოამდის იაროს მის ქუჩებზე და მისი ყურება არ მოწყინდეს. ქუჩები სულ წითელი ქვიშით არის მოფენილი, ზედ რელსებია გაყვანილი და ელექტრონული კონკა დაიარება. შესავალთან შვენიერი ტბაა, რომელშიაც გედები დაცურავს; ამ ტბის გარშემო წყალი შეუწყვეტლივ სცემს ზევით და ისევე ტბაში ჩადის. ყველა სახლი სხვა-და-სხვა სტილის არის და ყველა ერთი მეორეს ჯობს. მე განსაკუთრებით სამხატვრო განყოფილების თეთრი ქვითკირის, სხვა-და-სხვა ქანდაკებით მორთული შენობა მომეწონა. თითქმის ყოველი შენობის წინ, ბალახით და ყვავილებით შემკული პატარა მინდორი არის. მოსკოვის პავილიონის წინ კი ყვავილები ისე შეხამებულათ არის დათესილი, რომ გამოყვანილია წმინდა გიორგი, როცა ის შუბსა სცემს გველეშაპს. პირველ შეხედვაზე გეგონება, ეს ნახატი მწვანე ხავერდზე მოქარგული არისო.

დაუთვალიერებელი ერთი განყოფილებაც არ დაგვრჩენია, რადგან აქ ეს მეთერთმეტე დღეა ვართ. ვცდილობდით, ყველგან ახსნაზე დავსწრებოდით და კიდევაც ვახერ-ხებდით ამას, ისე რომ ახლა თამამათ შეგვიძლია ეთქვათ, გამოფენაზე ვიყავით და ყველაფერი ვნახეთ-თქო. ყველა განყოფილებაზე უკვრო მოგვეწონა „центральное“, სადაც რამოდენიმე სხვა-და-სხვა რამ არის მოთავსებული; ეს დიდი რგვალი შენობაა, რომელშიაც ხშირათ დაგებნეევა გზა და თავი და ბოლო ვეღარ გვიპოვნია, მაგრამ მაინც მას ვეტანებოდით და ერთი ოთხჯელ მაინც დავათვალიერეთ. ყოველივე საუკეთესო ხელოვნურ ნაწარმოებს, ყოველივე ძვირფასს და შესანიშნავ საგანს იქ უპოვი ალაგი. ბაგალითათ იქ დგას ორი პატარა, შვენიერი მაგიდა, რომელიც ჩვენ რამე ძვირფასი ქვის გვეგონა, ის კი—გაქვავებული ხის გამოდგა. ციმბირის განყოფილებაში ჩვენი ყურადღება მიიქცია სპილოს ძვლის სხვა-და-სხვა ნამუშევარმა; ისე წმინდათ და ნაზათ არის სხვა-და-სხვა საგნები გამოჭრილი, რომ ჩვენ ნაქსოვი არშია გვეგონა. ძალიან მოგვეწონა აგრეთვე მაშინების განყოფილება, სადაც ყოველ დღე, ორი საათიდან ოთხამდის, სხვა-და-სხვა ნაირი უზარ-მაზარი მაშინები მუშაობს. სამხატვრო განყოფილება არ მოგვეწონა, უთუოთ მოსკოვში ტრედიაკოვის გალლერეის დათვალიერებამ წაგვიხდინა შთაბეჭდილება.

აზიის, ჩინეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნების განყოფილებაში ზოგან კაცის ხელა ტიკინებია გაკეთებული და თავის ქვეყნის ტანისამოსი აცვიათ, ზოგან კი ნამდვილი იქაური კაცებია ჩამოყვანილი და დაყენებული. ერთმა ჩემმა ამხანაგმა ჩრდილოეთის განყოფილებაში დაწვრილებით დაათვალიერა თავიდან ფეხებამდის დიდი ტიკინი; რას არ უშვრებოდა, ტანისამოსს უწევდა, ქუდსაც უშინჯავდა, ხელებსაც აქეთ იქით უტრიალებდა... გათავდა დათვალიერება, ტიკინი მობრუნდა და წავიდა! თურმე ნამდვილი კაცი ყოფილიყო! ქართველი ქალის ტიკინიც ვნახე, მაგრამ სანამ ქვეშ წარწერა არ წავიკითხე, ვერ მივხვდი, რომ ჩვენებურს ვხედავ. რაღაც თათრული გაფარფაშებული ხალათი ეცვა, ფართე შარვალი და თავზე ჭრელი მოსახვევი ჰქონდა წაკრული.

—ეს ქართული ტანსაცმელი არ არის!—ვუთხარი მე იმ კაცს, რომელიც თავმომწონეთ შეჩერებოდა თავისგან ჩაცმულ დედოფალას.

—როგორ არა, ნამდვილი ქართულია!—მიპასუხა მან.



ორთქლ-მავალი გემი.

—მე თვითონ ქართველი ვარ და საქართველოში მაგისთანა ტანსაცმელი თვალითაც არ მინახავს.

—მე ეს ძველი მუზეუმის ალბომიდან გადმოვიღე და გარწმუნებთ, რომ ნამდვილი ქართულია!

რაღა უნდა მექნა, გავჩუმდი.

დღეს სახლში მოვემგზავრებით. აქაურობით ყველაფრით ძალიან კმაყოფილი ვართ, მაგრამ ყველას ისევ კავკასიისკენ მოგვეჩქარება, ახლა კი გავიგეთ, რომ თავის ქვეყანაში ყოფნა ყველაფერს ჯობნებულა.

ელიკო.

კრიტიკული შენიშვნა.

(„მოამბე“ № 3 1895 წ.)

შარშან „მოამბეში“ (მარტის ნომერში) დაიბეჭდა ის. ნიკოლაიშვილის პატარა ამბავი: „რას მერჩით, მეც ადამიანი ვარ!“, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ამ ამბის შესახებ მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი და გავუზიარო „კვალის“ მკითხველებს.

რადგანაც შესაძლებელია, მკითხველო, რომ ზემო-ხსენებული ამბავი სრულიად არ წაგეკითხოს, ან კიდევ თუ წაგიკითხავს—დაგვიწყებოდეს, ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია, ვიდრე თვით ამბავზე მოგახსენებდე რამეს, გადმოგცე იმის შინაარსი.

ქალ. №-ში სახარებო ბაზრობის გათავებას შემდეგ ვაჭრები ფაცა-ფუცით ემზადებოდენ სახლში წასასვლელათ; არა ჩქარობდა მხოლოთ ერთი პატარა ებრაელი, ელო, რადგანაც ის კიდევ აპირებდა კარი-კარს ჩამოვლას და ვაჭრობას. ელომ სწორეთ იმ დროს გამოიარა სკოლისაკენ საწვრიმალოით, როდესაც სკოლაში სწავლა გათავებულიყო, და ყმაწვილები სახლში მიდიოდენ. ყმაწვილებმა ებრაელი რომ დაინახეს, გარს შემოეხვიენ და დაუწყეს დაცინვა, როგორც ურიას, მაგრამ მალე თავი დაანებეს, რადგანაც მომავალი მასწავლებელი შენიშნეს. ყველაზე ბოლოს სასწავლებლიდან გამოვიდენ უსადილოთ დატოვებულები: დავით ბენდელაია, ცამეტ-თოთხმეტის წლისა და სიკო ბრეღიძე, ცოტათი პატარა პირველზე. დავითმა ებრაელი რომ დაინახა გადაწყვიტა მასწავლებლის ჯავრი მასზე ამოეყარა—ე. ი. დააპირა მისი გაცარცვა. თავისი განზრახვა დავითმა სიკოსაც შეატყობინა. მიზნის მისახწევათ პატარა ელო, ვითომ და სახლის პატრონთან, ქალაქის ნაპირას გაიყვანა. აქ დავითმა ელოს ჯერ ფულები მოთხოვა და მერე, რადგან მისგან ფულები ვერა მიიღო-რა, დაჰკრა თავში ჯოხი; ებრაელი უსულოთ მიწაზე დაეცა. ამას შემდეგ ბენდელაიამ გახსნა ვაჭრის ბოხჩა, ამოალაგა იქიდან დანები, საპნები და სხვ., მოჰკურცხლა შინისკენ და თანაც სიკო გააფთხილა, არამც და არამც ეს ამბავი არსად განაცხადოო, ხოლო საღამოს თავის ხელით მიუტანა სიკოს ზოგიერთა ნადავლი ნივთები. გულ-შეღონებული ელო მალე მოცოცხლდა და მასწავლებელთან წავიდა საჩივლელათ ამ ამბავმა შეაწუხა მასწავლებელი, მაგრამ იმის მეტი ვერა მოუხერხა-რა, რომ დაჩაგრული ებრაელი ანუგეშა, აჩუქა სამი მანეთი და გაისტუმრა. მეორე დღეს მასწავლებელმა ამნაირათ მიმართა შეგირდებს: „თქვენ შორის ზის ორი ავაზაკი, ისინი სწამლავენ ამ ოთახის ჰაერს... ავაზაკო, აიხადე პირ-ბადე!..“ ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა სიკოზე, რომ იმას გული შეუღონდა. მასწავლებელმა გულ-შეღონებული მოწაფე თავის ოთახში გაიტანა, აქ სიკო გამოუტყდა ოსტატს, რომ იმან გაცარცვა ებრაელი. მასწავლებელი აზრით მიხვდა, რომ დავითიც მონაწილეობას მიიღებდაო. შეგირდებს დაანება თავი კლასში (?!), წავიდა დ. ბენდელაიას სახლში და მართლაც ნადავლი ნივთები იპოვნა, რის გამო დავითი დაითხოვა სკოლიდან, ხოლო სიკო ცოტათ დასაჯა, რადგანაც თითონ აღიარა დანაშაული. დ. ბენდელაიამ იფიქრა, რომ მასწავლებელთან სიკომ დამაბეზღაო და სამაგიეროს გადახდა მოინდომა: ერთ ღამეს დავითმა ჯოხით გაუხეთქა სიკოს თავი, რომელსაც ანთება მოუვიდა და ცოტა ხანს შემდეგ მოკვდა კიდეც.

ბ. ნ. მიხაილოვსკი ამბობს: „ყოველივე სიტყვაკაზმული ნაწარმოები არის არა მარტო საგნის გამოხატვა, არამედ მსჯელობაც ამავე საგანზეო“. სწორეთ ეს მსჯელობა, რომელიც ავტორს უფრო ეკუთვნის, ვინემ მასწავლებელს, არის საყურადღებო ამ ამბავში და მეც მსურს ამ მსჯელობას მივაქციო მკითხველის ყურადღება.

როცა მასწავლებელმა გაიგო შეგირდებისაგან ებრაელის გაცარცვა, აი, როგორი ფილოსოფოსობა დაიწყო: „ვაი, სირცხვილო! ვაი, გაცრუებულო იმედო! ამისათვის შევალიე ამ საქმეს ჩემი ჯანი და ღონე, რომ ავაზაკები გამომეზარდა?! „ბავშის სული სუფთა ფიცარია (tabuea vasa), რაც უნდა იმას დააწერს ზედ აღმზრდელიო“, ამბობს ერთი ცნობილი ფილოსოფოსი, ლოკი. კარგი, დავიჯეროთ, მაგრამ რას გვეუბნება ეს უბედური მაგალითი? ნუ თუ გამიწყრა ღმერთი და მე ვარ იმ ბოროტ-მოქმედების მიზეზი, რაც ახლა ჩემმა შეგირდებმა ჩაიდინეს? არა,

ნავთსადგურთან.

კეთილი მაგალითის მეტი რა უნახავთ სკოლაში? განა ოდესმე გადამიხვეია სიტყვით ან საქმით ქრისტეს მცნებისათვის? არა და არა!.. აქ სხვა მიზეზია. დიახ, სხვა! არა ბატონო ფილოსოფოსო, არც ისე „სუფთაა", თქვენ, რომ ფიქრობთ. ბევრი რამაა ამ „სუფთა ფიცარზე" ამოსაფხეკ წასაშლელი. ბევრი რამ სიავეა ზედ უჩინარის ასოებით წარწერილი".

ამ „მწარე" ფიქრებიდან ის აზრი უნდა გამოიყვანოს მკითხველმა, რომ მასწავლებელისა და მასასადამე ავტორის შეხედულებით, ყმაწვილებმა (ანუ უკეთ რომ ვთქვათ დავითმა), ეს ავ-კაცობა ჩაიდინეს იმიტომ, რომ ყმაწვილის სული „სუფთა ფიცარი" არ არის, რომ „ბევრი რამ სიავეა ზედ უჩინარის ასოებით წარწერილი", როგორც მასწავლებელი ამბობს.

დაუჯეროთ ცოტა ხანს მასწავლებელს და მივუბრუნდეთ თვით ამბავს.

13—14 წლის ყმაწვილმა—შეგირდმა მოინდომა ებრაელის გაცარცვა, მაგრამ რადგანაც ფული ვერა მიიღო-რა იმისგან, სასიკვდილოთ გაიმეტა, თავში ჯოხი დაჰკრა. დავითმა რათ მოიწადინა ებრაელის გაცარცვა და ბოლოს სიკვდილიც და არა სხვა ვისმე? თუ მასწავლებელს მივმართავთ ამ კითხვით, ის გვიპასუხებს, რომ დავითი ყაჩაღათ იყო დაბადებულიო და თანაც დაუმატებს: „კეთილი მაგალითის მეტი რა უნახავთ სკოლაში? განა ოდესმე გადამიხვეია სიტყვით ან საქმით ქრისტეს მცნებისათვის". ჩემის აზრით, მასწავლებელი დიდათ შემცდარი ბრძანდება; პირველათ იმაში ცდება ის, რომ მას ჰგონია, ვითომც მასწავლებელი, რომელიც დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში ასწავლის ბავშვებს, ყოველის შემძლებელი იყოს და ყმაწვილების მიმართულება და ხასიათი სულ მასზე ეკიდოს. სკოლას და მასწავლებელს ბევრი შეუძლიან, მაგრამ ყველაფერი კი არა: უფრო ძლიერი სკოლა და აღმზრდელი არის თვით ცხოვრება და კერძოთ—ოჯახი. მასწავლებელმა ლოკს კრიტიკა დაუწყო და ცხოვრებაში კი არ ჩაიხედა: ერთხელაც არ წამოცდენია, რომ იქნება ოჯახი და ცხოვრების პირობები არიან დამნაშავენი... მასწავლებელმა თავი გაიმართლა ვითომ, შესანიშნავ ფილოსოფოსს ერთი კაი მუჯლუგუნი ჰკრა და სამწუხარო მოვლენა კი ვიღაცას და რაღაცას გადააბრალა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ბუნებას მოახვია თავზე. ეს ალბათ იმიტომ მოახდინა ავტორმა და მის მიერ მოვლინებულმა მასწავლებელმა, რომ ასეთი ახსნა „სამწუხარო" მოვლენისა უფრო ადვილი იყო.

ჯერ ერთი ესა, რომ თვით მასწავლებელი არც ისეთი უდანაშაულოა ამ საქმეში, როგორც იმასა ჰგონია. როცა სიკვდილ დაუშალა დავითს ებრაელის გაცარცვა, აი, უკანასკნელმა ამაზე რა უპასუხა:— „ცოდვაა? ცოდვა კი არა მადლია! რა დაუშავებიაო? როგორ თუ რა დაუშავებია?.. განა დაგავიწყდა დღეს რომ მასწავლებელმა გვიამბო? მაშ, ვინ აწვალა ქრისტე? რა დაუშავა იმათ ქრისტემ? ჰო, რა დაუშავა? რა დაუშავა? აღარ მეტყვი? სიკეთის მეტს რას უშვრებოდა?" ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მასწავლებელს თითონ წაუსისინებია შეგირდები ებრაელებისათვის და ამ რიგათ თვით ხდება სულიერი ამხანაგი ამ ვითომ და ყაჩაღებისა.

გარდა ამისა, ყველამ ვიცით რა თვალითაც უყურებენ ურიებს. ამისი მიზეზი უნდა ვეძიოთ არა სარწმუნოებრივ განსხვავებაში (უმთავრესათ მაინც), არამედ იმ ეკონომიურ პირობებში, რომელიც სუფევს ქართველებსა და ურია—ვაჭართა შორის. პირველი უმთავრესათ მიწათ მომქმედია და შე-

დარებით—ღარიბიც, მეორენი—მოვაჭრენი და—შეძლებულნი. ამიტომ მათ შორის არსებობს მძულვარება, თუ აშკარათ გამოხატული არა, დაფარული მაინც. ამ საზოგადო მძულვარებას ემატება მასწავლებლისა და საზოგადოების ჩაძახილი, რომ ურიებმა ქრისტე აწვალეს, ისინი ქრისტიანების სისხლსა ხმარობენ ზიარებათ და სხვ... განა სიღარიბე, სიძულვილი და ეს ჩაძახილი საკმარისი არ არის, რომ 13—14 წლის ბიჭს გააბედვინოს პატარა ებრაელის გაცარცვა? აი, რას ამბობს თვით ავტორი: „დავითმა ელო შეაჩერა და მრისხანეთ უთხრა; „აბა ამოალაგე ჩქარა რაც ფული გაქვს!“ ებრაელს ფულები რომ ამოელაგებინა, მიშინ დავითი არც ულმერთოთ გალახავდა და მით უფრო მოკვლას არ მოინდომებდა.

აქედან მე ის დასკვნა გამომყავს, რომ დავითი ბუნებამ კი არ გააჩინა ყაჩაღათ, არამედ ეკონომიურმა პირობებმა და საზოგადოებამ შეჰქმნა ასეთი ხასიათი.

„რას მერჩით, მეც ადამიანი ვარ!“-ს ცხადათ ეტყობა, რომ ავტორს აუღია მეცნიერებისაგან დამტკიცებული ფაქტი: ზოგს კაცს ბუნება ავაზაკათ გააჩენს ხოლმე, რომელსაც განსხვავებული თავის მოყვანილობა აქვს და სხვ... და ამაზე აუშენებია თავისი ამბავი, მაგრამ, როგორათაც ზემოთ ნათქვამიდან დავინახეთ, ეს ვერ მოუხერხებია, რის გამო მეცნიერული აზრი და ნამდვილი ამბავი ერთი-ერთმანეთს არაფერში არ ეთანხმება.

ი. გ—რი.

პოეტის სიტყვა.

დეე, მე ვიყო ძმათგან დევნილი,
ლახვარ ნაკრავი მწარეთ ვნებული;
დეე, მე ვიყო თვით საზიზღრება
და ყველას მიერ მოძულებული!

დეე, მე ვძულდე, მე ვძაგდე ყველას,
დრომდის მე ვიყო ძმათგან გმობილი,
დეე, ვიტანჯო დრომდის ამ გვარათ,
ვიყო მრავალ გზით ლახვარ სობილი!

დეე, დამსაჯონ დასასჯელებმა,
ურწმუნოებმა შემახონ ხელი,
დეე, ვინც უფრო დასასჯელია,
მათ შეურაცხყონ ჩემი სახელი!

დეე, ამიგდონ მასხრათ მასხრებმა,
უვიცთა მორთონ ჩემზე სიცილი,
დეე, დრომდისინ დამთვალონ ბრიყვათ
მე, დღეს ყოველ მხრით ღონე მიხდილი!

დეე, მშობელმაც ნუ მცეს ნუგეში,
დრომდის იტანჯოს მისგანც ეს გული,
დეე, უდროვოთ მომკლას ნაღველმა
მისგამო ცეცხლში დამწვარ-დაგული.

დეე, დრომ დასდვას თვის განაჩენი
შესაფერისათ ჩემზე ყოველი,
დეე, მან ამცნოს შემდეგში ძმათა
მიმართულება ჩემი ყოველი!

ექვ. ანტ. კოპლატაძე.

ენის წარმოდგომაზე.

(Über den Ursprung der Sprache.)

დრ. გ. ს. ზეემანისა.

თარგმნილი გერმანულიდან. *)

აზროვნების და ენის განვითარებაში დაწინაურებულ ერში მთელი ხალხი არ ღებულობს თანასწორ მონაწილეობას, როგორც ეს ხდება ხოლმე განუვითარებელ ხალხში. ცხადია, რომ იქ, სადაც შრომა განაწილებულა, სადაც უმრავლესობა ხელით მუშაობას ე. ი. ფიზიკურათ შრომობს და მხოლოთ უმცირესობა ეძლევა გონებითი ვარჯიშობას, დიდი განსხვავება იქნება ამ ორ საზოგადოების ნაწილთა შორის: უკანასკნელი ნაწილი საზოგადოებისა ე. ი. უმცირესობა, მომეტებული სისწრაფით ვითარდება და წინ მიდის. წიგნის ბეჭდვის მოგონების მეოხებით განსხვავება ენისა განათლებულთა და გაუნათლებელთა შორის თან-და-თან უფრო დიდი და თვალ-საჩინო შეიქმნა, რადგან მწერლები, მას შემდეგ რაც ისინი გამოვიდენ ასპარეზზე წინამავალ ხალხში იმ თავიდანვე ამდიდრებენ ენას. იკვლევენ ნივთიერ საგნებს დაწვრილებით, ან ჩაიყურყუმელავებენ ფანტაზიისა და წარმოდგენათა მორევში; მწერლები, როგორც მკვლევარნი, გრძნობენ სწორე და მარჯვე ლაპარაკის საჭიროებას

*) იხ „კვალი“ № 36.

იმდენათვე, რამდენათაც ისინი, როგორც პოეტები, დაეძებენ მდიდარ ფერს ბუნებისას ადამიანის სულის კვეთების სისწორით გამოსახატათ. ამიტომ სხვა-დასხვა შემეცნებათა უფრო მკაფიოთ და ნაზათ გამოხატვისათვის მწერლებს ძალა უნებურათ უხდებოდათ მუშაობა, ასე რომ იმათ შეერთებულმა მოღვაწეობამ კულტურულ ერთა შორის იმ ზომამდე შეაესო განვითარებულ ენების აზრთა და სიტყვათა საუნჯე, რომ ერთ პირს, ვინც უნდა იყოს იგი, არ ძალ უძს სრულიად შეითვისოს და მოერიოს ამ უკანასკნელს. აზრებით და სიტყვებით უუმდიდრეს ადამიანათ ითვლება შექსპირი. მისი ლექსიკონის საუნჯეს აღრიცხავენ 15,000 სიტყვით. დიახ, ეს ვეებერთელა რიცხვია 300 სიტყვასთან შედარებით, რომლებითაც მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში კმაყოფილდება ზოგიერთი დღიურ მუშათა ოჯახობა ინგლისში; მაგრამ მაინც ეს რიცხვი (15,000) წარმოადგენს მხოლოთ რაღაც მეექვსედ ნაწილს იმისას, რასაც იძლევა ინგლისური ენა. თუ რა ზედმოქმედება შეუძლია იქონიოს სამშობლო ენის განვითარებაზე კერძო პირს, როცა მასში შეძლების და გვარათ განხორციელებულია მთელი ეროვნების სული,—ეს ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ გერმანელთა ისტორიიდან აღებულ რამდენიმე მაგალითიდან. რა გაუთლელი, მაგარი და უშნო იყო ლიუტერამდე გერმანული პროზა, და რა კეთილშობილური სიცხადე, სითბო და სიმძლავრე მიანიჭა მან ამ უკანასკნელს, ბიერში ებრაეული და ლათინური ნიმუშების მიხედვით! რა გალესილი მახვილით მოიშორა ლესსინგმა სიტყვების ხმარების ის უხერხულება, რომელიც ოცდაათწლოვან ომიანობას შემდეგ გაველურების დროს შემოვიდა ხმარებაში! როგორ გაიუურჩქნა ენა გიოტეს ხელით ფაუსტის პირველ ნაწილში ერთათ შეკავშირებით: აზრის სიღრმისა ჯ სინაზისა, გრძნობის სიწმინდე-სინარნარისა,—ასე რომ ეს თხზულება საუკუნოთ დარჩება ადამიანის სიტყვის უუმაღლეს ქმნილებათ. მაგრამ არა ყველა მწერლები ახალი სიტყვებით, რომლებიც იმათ შეუქმნიათ და ახალი მნიშვნელობებით, რომლებიც იმათ ძველთათვის მიუციათ, არიან ისე მდიდარნი, როგორც ლიუტერი, ლესსინგი და გიოტე. ათას მწერლებს ათასი სიტყვები მოუგონიათ და უხმარიათ, მაგრამ ეს სიტყვები თანამედროვეთ კი არ მიუღიათ და არც ლიტერატურისა და ხალხის ენაში შესულან. მხოლოთ ის, რაც შეჰფერის (შეესაბამება, entspricht) აზრს ნაციისას, ანუ ამ ბოლო დროს—მის განათლებულ, მკითხველ და მწერალ ნაწილს,—მხოლოთ ის შემოდის ენაში. აქ მე მინდა მოვიყვანო ორი ანეგდოტი, რომლებსაც თუმც ახალ სიტყვების შემოღებასთან კავშირი არა აქვთ, მაგრამ ამტკიცებენ იმას, თუ რა უძლურია კერძო ადამიანი ენაში, რაიმე გადაასხვაფეროს, თუნდაც ეს ადამიანი სხვაფრივ ყოველად შემძლებელიც იყოს. ტიბერიოსს მოუვიდა ერთხელ გრამატიკული შეცდომა, რაიცა გაჰკიცხა გრამატიკოსმა მარცელლიუსმა. ამაზე შენიშნა კარისკაცმა კაპიტომ, რომ რასაც იმპერატორი ბრძანებს, არის ანუ უნდა იქმნეს საუკეთესო ლათინურიო.—კაპიტო ტყუისო, მოახსენა იმპერატორს მარცელლიუსმა, შენ ძალგიძს, ცეზარო, მოქალაქობის უფლება მიანიჭო ყოველს ადამიანს, მაგრამ ერთათ-ერთ სიტყვასაც კი ვერაო. მეორე ამბავი შეეხება იმ დროს, როდესაც ლათინური ცოცხალი ენა უკვე აღარ იყო. კოსტნიცის კრებაზე იმპერატორმა სიგიზმუნდმა ჰუსსიტების ერესის (მწვალებლობის) წინააღმდეგ სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც, სხვათა შორის, იმან წამოიძახა: „Videte, patres, ut eradicetis schismam Hussitarum“.—„Serenissime rex“, გააწყვეტინა იმას ერთმა მოურიდებელმა ბერმა, „schisma est generis meutrius“.—რატომაო? —იკითხა დამშვიდებით იმპერატორმა.—იმიტომ რომ ასე გვასწავლის გალლუსი.—ვინ იყო ეს?—გრამატიკოსიო, მოისმა პასუხი.—ახლა მე კი იმპერატორი ვარ, ღიმილით მიუგო სიგიზმუნდმა, და ჩემ სიტყვას მეტი ფასი უნდა ჰქონდეს, ვინემ გრამატიკოსისაო. მაგრამ იგი ცდებოდა, ბერი კი მართალი იყო: schisma დარჩება საუკუნოთ საშუალო ნათესავისათ. თითოეული ძველი ფესვი, თითოეული ახალი წარმოება, შეერთება და გარდაღებითი ხმარება შექმნილი და შემოღებულია კერძო პირთაგან, მაგრამ ისინი საყოველთაო (საერთო) ანუ მომეტებული ნაწილი ენაში მხოლოთ მაშინ გადადიან, როცა მოწონებულნი შეიქნებიან მსმენელთა და მკითხველთაგან. განათლებულ ერთა ენები, როგორათაც ჩვენ იმათ ეხედავთ დღეს, არიან შედეგი ათასთა წელთა მუშაობისა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ ეროვნების საუკეთესო გვამნი; მაგრამ სიცოცხლის ძალის მოსაპოებლათ თი-

თოეული სიტყვისათვის საჭირო იყო, რათა იგი ეხმარა და მიეღო რაც შეიძლება უფრო მეტ გონიერ და განმსჭვერეტ ადამიანთა წრეებს. ეს მუშაობა, რასაკვირველია, ჯერ ახლაც არ შეჩერებულა: ყველა ცოცხალ კულტურულ ენებში საჭირო შეიქნება დრო-და დრო დამატებითი ლექსიკონები.

ჩვენ შევადაროთ ახლა რომელიმე ახალი ენა, მაგალ., ჩვენი ეგვიპტურსა, როგორც ეს უკანასკნელი მოჩანს უუძველესს ნაშთებში. ჩვენცა გვაქვს არა მცირე რიცხვი ჰომონიმებისა, მაგრამ აწ ისინი გაუგებარნი აღარ არიან. წინადადებაში ყოველთვის ცხადია, თუ რას ნიშნავს სიტყვა „sie“: მხოლოობითი რიცხვის მეორე პირის ნაცვალ-სახელია იგი, თუ მრავლობითის მესამე პირისა, მდედრობითი. (ნაცვალ-სახ.), სახელობითი ან მოთხრობითი (Akkusativ) ბრუნვაა, თუ ბრძანებითი ფორმა ზმნისაგან „Sehen“? აგრეთვე ცხადია, სიტყვით „Schlosz“ გულისხმობენ კლიტეს, თუ ციხე-დარბაზს, პალატას; სიტყვა „Schein“ ნიშნავს ილლიუზიას, მოჩვენებას, თუ წერილობით დამოწმებას, მოწმობას; „Niederlage“ — დამარცხებას ჯარისას, თუ საქონლის საწყობს, მაღაზიას; „Erlasz“ — ბრძანებას თუ (მოვალეობისაგან) განთავისუფლებას. ჩვენ (გერმანელებს) გვაქვს ერთი სიტყვა (abschlagen), რომელიც ნიშნავს: მოტეხა, უკუქცევა, ფასში დაცემა, უარის თქმა და სხეულის ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაგრამ ხმარებაში არასოდეს არ შემოაქვს მცირეოდენი აზრის არევ-დარევა *). ეს მაგალითი არას შემთხვევაში არჩეული არ არის. ამისთანა მაგალითები ასობით შეიძლება მოყვანილ იქმნას. მაგ., auslassen ნიშნავს: მძვინვარება, ხმაურობა, დადნობა, გალხობა, დავიწყება, არ დანახვა, გამოშვება, ლაპარაკი და სხ. (აქაც არ მოგვყავს ჩვენ მაგალითები). ჩვენ, ის კი არა, ორი ისეთი სიტყვებიცა გვაქვს, რომელთაგან თითოეული, როგორც გაცემას, ისე აღებასაც ნიშნავს, სახელდობრ „leihen“ და „borgen“ (თითოეული ამ სიტყვათაგანი ნიშნავს: ვალათ გაცემას, გასესხებას და ვალათ აღებას, სესხებას), მაგრამ ამათ კაცი არაეითარ შეცდომაში არ შეჰყავთ; ის მე მასესხებს, თუ მე მას ვასესხებ, ვისესხებ, თუ ვასესხებ, — თუ რა იგულისხმება აქ, — ეს ჩვენთვის კარგათ გასაგებია. ჩვენი ჰომონიმები ჩვენთვის სრულიად არ არის მძიმე. აგრეთვე არც სინონიმები, ძველ ეგვიპტურში, როგორც ენახეთ, „ჭრისათვის“ იყო 37 სიტყვა, რომელთაგან თითქმის თითოეულ სიტყვას, საუბედუროთ, გარდა ჭრისა სხვა მნიშვნელობანიც ჰქონდა; ეს სინონიმური სიტყვები მაშინ უბრალო ნივთთა გაგებას მეტათ აბნელებდენ; ჩვენთვის კი ასეთი სიტყვები გარეგან სიმოკლე-სიმარტივესთან გამხდარან ჩვენთა აზრთა, გრძნობათა, მოქმედებათა და მდგომარეობათა სხვა-და-სხვა ძნელათ წარმოსადგენი მხარეების გამომხატველათ. ჩვენ გვაქვს სხვათა შორის შემდეგი სიტყვები: თხრობა, თქმა, უბნობა, ლაპარაკი, ჩურჩული, ყვირილი, ახსნა, მოხსენება, მუქრობა, პირფერობა, საუბრობა, მასლაათობა, ჭორიკანაობა, ყბედობა, მურმური, ბუზღუნი, ლაქ-ლაქი, მოჭორება, თავის მობეზრება და სხ., მაგრამ აქ შევჩერდებით, რომ მსმენელთა მოთმინების ძაფი არ გაწყდეს. მე მივისწრაფვი დასკვნამდე: ენის დასაწყისი ძევს ყველა ადამიანთა საერთო ნიჭში, რომ ბგერანი დაუკავშირონ მტკიცეთ შემეცნებათა. ურიცხვი ბგერათა კავშირნი და არა ცხადათ შემეცნებანი დროთა განმავლობაში თან-და თან ისაზღვრებიან, და ამნაირათ ნიჭიერი ნაციები ჰქმნიან საუცხოო ქმნილებას ადამიანის სულისას, — განვითარებულ ენებს.

ბ. გ. ჭარაია.

*) აქ ავტორს ამ ერთი და იმავე სიტყვის სხვა-და-სხვა მნიშვნელობათა საჩვენებლათ მოჰყავს გერმანულათ მაგალითები, რომლებიც ჩვენ გამოვტოვეთ, რადგანაც იმათ ჩვენთვის არაფერი დიდი მნიშვნელობა აქვთ.

მთარგ.

კარცერი და ტიკჭორა.

ძველის ძველი ამბავი.

ვუძღვნი ჩემს მეგობარს ს. მ. კვ—ის.

I.



ქართველოს შვილი გახლავარ და სრულებით საკვირველი არ არის, ღვინო რომ არ მძულდეს. ღვინო დედის რძესავით არგია ქართველ კაცს. ტყუილათ კი არ ეუძახით ჩვენო „ნუ-

ნუსა''. ღვთის მოცემული ჯერ-ჯერობით ბლომათა ვაქეს და ჩვენც ბავშობიდანვე ვეჩვევით მის ნელ-ნელა ,,წრუპვას''. შეიძლება, ამის შედეგიც იყოს ის, რომ ჩვენ კეკლუც სამშობლოში ერთს ვერ ნახავთ ისეთ გალოთებულ ადამიანს, როგორიც ათასობით მოიპოვება სხვა ქვეყნებში... დიახ, მე მიყვარს ჩვენი ,,ნუნუა'', იმას პატარაობიდანვე შევეჩვიე და დღიურ საზრდოს აუცილებელ ნაწილათაც გადამექცა. მაგრამ თურმე ღვინის დალევა მომაკვდინებელი ცოდვა ყოფილა. ეს ახალი ამბავი, მე სასწავლებლის პანსიონში, რომ მიმაბარეს იმ დღესვე შევიტყვე.

...... არ გასულა თითქმის ერთი საათი, რაც მამაჩემმა პანსიონში დამტოვა და თვითონ კი მეორე დღემდის გამომეთხოვა, რომ შეიქნა ერთი ალიაქოთი, ხმაურობა და ფაცა-ფუცი. ატყდა ზარების წკრიალი. მოწაფეები ჩადგენ რიგ-რიგათ და პირის მღლაკუნი დაიწყეს. საშინლათ მიკვირდა,—ნეტავი რა ამბავია-მეთქი.

— რიგი რათ არ დგიცავს,—შემომიყვირა ერთმა დიდ-მუცელა კაცმა, რომელიც, როგორც მერმე შევიტყე, თურმე პანსიონის აღმზრდელი იყო.

— მე, ეს არის, ახლა გესტუმრეთ და თქვენი ზარების და რიგის არაფერი გამეგება,—ვუპასუხე, როგორც საზოგადოთ ვიყავი დაჩვეული, თამამათ და თავისუფლათ.

აღმზრდელს ჩემი პასუხი საშინლათ ეწყინა. უნდოდა თავიდან ფეხებამდე ჩავეთვალიერებინე, მაგრამ, რადგანაც ჩემთან ახლო იდგა, მუცელმა აღარ დაანება, შეესრულებინა თავისი სურვილი. მან დაიხია ცოტა უკან, შემომხედა ერთი სასტიკათ, გამოექანა სიჩქარით ჩემკენ და უზრდელათ გამოსწია ჩემი ყურისკენ თავის ჩასუქებული ხელი. მე რომ უცებ განზე გადახტომა არ მომესწრო და მოწაფეების რიგში არ შევრეულიყავ, ის უნამუსო სწორეთ სირცხვილს მაჭმევდა ამდენ ხალხში. სახეზე მთლათ ერთიანათ წამოვწითლდი, ცოტა დამაკლდა, კინაღამ თოფის წამალსავით ვიფეთქე, კიდეც მოვბრუნდი მისკენ, მაგრამ, რომ შევხედე მის აჩირებულ სახეს და ვეებერთელა მუცელს, რომლის მსგავსი ჯერ არსად მენახა, გაჯავრების მაგიერათ, სიცილი შემსკდა. ამან ხომ მთლათ გააბრაზა ჩვენი აღმზრდელი.

— მარშ! დაიძახა მან და ყველა ნელ-ნელა დავიძარით ადგილიდან.

— არაფერია, მალე მოგარჯულებს ჩვენი ,,კარცერი'' ჩაილაპარაკა მან და, ბატსავით ნელ-ნელა, უკან წამობაჯბაჯდა.

საშინლათ მეინტერესებოდა შემეტყო, ვინ იყო ეს ,,კარცერი'', რომელსაც მე უნდა მოევერჯულებინე. ვეღარ მოვითმინე და ჩემს გვერდში მდგომ მოწაფეს ვკითხე:—ძამიავ, მითხარი, თუ ბიჭი ხარ, ვინაა ,,კარცერი?''

— ვინ, ვინ? შემეკითხა რამოდენიმე მოწაფეთაგანი.

— ვინ და ,,კარცერი?''

ბავშებმა სიცილი დაიწყეს.—მოითმინე ცოტა და შენ თითონ შეიტყობ,—მიპასუხა ერთმა მწარე ღიმილით.

— ეს რა ამბავი გაქვთ? შემოგვიყვირა აღმზრდელმა.—თქვენ არ იცით, რომ აქ აკრძალულია თქვენს ენაზე ლაპარაკი? ყველას უსადილოთ დაგტოვებთ!

ბავშებმა თავის გამართლება დაიწყეს—ჩვენი რა ბრალია, ამან ვკითხა ,,კარცერი'' ვინ არისო.

— მოიცადოს ცოტა, ეგ იმნაირი თვალებით იცქირება, რომ მალე თვითონაც დაახლოვებით გაიცნობს ,,კარცერს''... რიგი დაიცევით, ჩუმათ იყავით, სკამები არ აარიხინოთ!—გვიბრძანა მან.

მისი სიტყვები ლახვარივით გულში ჩამესვენა— რა ურჯულოები ყოფილან? ჩვენებურ ენაზე უკრძალავენ საუბარს! ტანშიც გამაჟრიალა—უი, დედაია, რა მხეცებში ჩავარდნილვარ, წამომცდა და ფიქრებმა წამიღეს. საშინლათაც დავღონდი.

უცებ გაიღო ერთი ოთახის კარები და შიგ დიდის ხრიგინით და თავის მტრევით მოწაფეები შეცვივდნენ.

— ეს რა ამბავია!—დაიზრიალა ვიღაცას მკვახე ხმამ.

— მგელია, მგელი!—დაიწყეს ფურჩული მოწაფეებმა და თან კანკალით უკან-უკან იხევდნენ.

პირველათ მეც შემეშინდა, მაგრამ ვიფიქრე მგელს აქ ვინ შემოუშვებდა-მეთქი და ცოტა გული გავიმაგრე, თუმცა, უნდა გაგიტყდეთ, მაინც ცოტაოდენი შიშით შევედი ოთახში.

მგელი არსად იყო. მხოლოთ შუა ადგილს ერ-

თი ახირებული ადამიანი იდგა. მიმინოსავით წელში აწურულიყო. კისერიც წაეგრძელებინა, თითქოს ეს არის ემზედება, მსხვერპლს ეცეს და კლანჭებში ჩაიგდოსო, მაგრამ თვალების ბრიალში და მისა გესლიანი შემოხედვის ძალაში, მიმინო მას სად შეედრებოდა. ის ნამდვილი ტყიდან გამოვარდნილი მგელი იყო. ტანისამოსიც მგლის ფერი ეცვა და თმაც მასავით აბურძგნოდა. მოსწავლეები მის წინ უფრო საბრალო რამეებს წარმოადგენდენ, ვიდრე ადამიანის შვილებს... ოთახში ისეთი სიჩუმე მეფობდა, რომ ვგონებ ბუზის ფრენასაც კი გაიგონებდით. მოწაფეები, გაივლიდენ თუ არა მის წინ, ბატონისებურ თაყვანსა სცემდენ. ის კი იყო გაქვავებულსავით იმავ ადგილზე და ხმასაც არ იღებდა. მხოლოთ ცხვირიდან უცნაურათ ქშინავდა და ხან-და-ხან თვალებსაც აბრიალებდა. მეც მომიხდა მის წინ გავლა. მინდოდა მეც დამეკრა თავი, მაგრამ მისმა შემოხედვამ ისე გამომაყერყეჩა, რომ თავის დაქნევაც ველარ მოვახერხე. მან ამხედა თავიდან ფეხებამდის, მეც ჩავაჩერდი მისი სახის დამმონავებელ გამომეტყველებას.

— ეს საიდან გაჩნდა? ჩაიდუდღუნა მან და თითი ჩემკენ გამოაშვირა.

აღმზრდელი მაშინვე შივარდა და სიჩქარით მოახსენა: – თქვენო მაღალ-შობილებავ! ეს მოსწავლე არის, თავათ ის მოსწავლე, რომლის მიღებაზე თქვენმა მაღალ-შობილებამ დღეს კეთილი ინება ხელი მოეწერა‘‘.

ამას შემდეგ მგელმა კისერი ჩემკენ მოაბრუნა. —შენ სადაურ ტყეში ხარ გაზდილი? მკითხა მან დაბალი ხმით.

ამ კითხვამ ძალიან გამაკვირვა—ალბათ სხვაგან ტყეში ზრდიან ბავშებს, გამიელვა უცებ თავში და ვუპასუხე:

— თქვენ ალბათ დიდი ხანი არ არის, რაც აქეთ ჩამობრძანდით. ჩვენ ქვეყანაში ტყეში არ ზრდიან ბავშებს. ტყეში ხომ მგლებია ბევრი. ლეკვებსაც იქ ზრდიან. ბავშებს ხომ შეჭამენ...

ამ სიტყვებზე მოსწავლეებმა ერთი-მეორეს სხვანაირათ გადახედეს. ის კი გამიჯავრდა.

— ხმა გაკმინდე! შე უზრდელო, ვის უბედავ მაგისთანა ლაპარაკს,—მიჭყვირა მან. არ იცი, რომ მე ზედამხედველი ვარ და მაგისათვის შემიძლია აქედან ახლავე გაგაგდო? ტყეში თუ არ გზრდიდენ, არ გეცოდინებოდა, რომ ქვეყანაზე არსებობს თავისდაკვრა?..

— ეგ მეც კი ვიცი!

— მერე სად არის თუ იცი! მე ხე ვიყავი, რომ გამიარე წინ და თავი არ დამიკარი?

— უკაცრავათ გახლავარ, მომიტევეთ, რომ არ გიცნობდით, ვინც ბრძანდებოდით.

— ეს არაფერი თავის გამართლებაა! ხომ დამინახე, რომ უფროსი ვიყავი, მაინც უნდა დაგეკრა თავი! რას ჰქვია, არ მიცნობდი!..

— ჩვენში უცნობსაც ეუბნებიან ,,გამარჯობას‘‘, მაგრამ თუ უცნობი ვინმე უფროსი შეხვდება, წესი მოითხოვს, სალამი ჯერ უფროსმა უნდა ბრძანოს და მერე უმცროსიც პატივისცემით უპასუხებს...

— აი, მაგას ჰქვია მხეცობა! რა უზრდელი ყოფილხართ! ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, ვიდრე თქვენ მოგარჯულებდეთ... დადექი სწორეთ, ხელები ძირს ჩაუშვი, თავი ზევით ასწიე! არ გესმის! დამიყვირა მან და განაგრძო ნაღვლიანათ: არას დროს არ უნდა მივიღოთ ამხელა ბავში პანსიონში. ეს ახლა თავიდან ფეხებამდის გაფუჭებულია მხეცური აღზრდით. მთლათ გარყვნის აქაურობას. მაგის მორჯულება ტვინს გამოგვილაყებს თავში... შენ სად სწავლობდი ამდენ ხანს? მკითხა მან წყნარათ.

— სოფელში. დედ-მამის ოჯახში. შკოლისთვის მამა მამზადებდა.

ამ სიტყვებზე მან გადააქნია ერთი სხვანაირათ თავი და აღმზრდელს უბძანა: ამას კარგათ უგდეთ ყური. თუ რამე დააშავოს, მაშინვე ,,კარცერში‘‘ დაატუსაღეთო. ამას შემდეგ მოსწავლეებს მიმართა:— ლოცვა წაიკითხეთ, რიგი ვისია?..

ამ ოთახში უშველებელი სუფრა იყო გაშლილი. სუფრას მოწაფეები იქით-აქედან მოდგომოდენ. დაჰყურებდენ სპილენძის საინებზე დასხმულ საჭმელს და გაწრთვნილ ძაღლებსავით, ჭამის ბრძანებას უცდიდენ. –ჩქარა, ლოცვა, ვისი რიგია, დაიწყეს იმათ ფურჩული.

გამოდგა, რომ ის მოსწავლე, რომელსაც ლოცვა უნდა წაეკითხა, ავათმყოფობის გამო ველარ მოსულიყო სასადილოთ. ზედამხედველმა ლოცვის წაკითხვა ახლა მეორე მოსწავლეს უბრძანა. იმანაც დაიწყო. გაჩნდა გაცხარებული პირჯვრის წერა და

ტუჩებს ცმაცური, ვითომც ყველა ლოცვის სიტყვებს იმეორებდა. ზედამხედველმა ამ დროს ერთი სხვანაირათ ცხვირი დააცემინა —ქარ-ცეცხლი! ღვთის რისხვა! ჩაიფურჩულეს მოწაფეებმა. ლოცვის მკითხველიც შეჩერდა.—განაგრძე! დაუძახა ზედამხედველმა.

მოწაფე მაინც გაჩუმებული იყო, ვერ მოეგონებინა ის ადგილი, რომელზედაც გაჩერდა; დაუწყეს მაშინვე აქეთ-იქიდან ცურჩული. ლოცვის სიტყვებს აგონებდენ. მან დაიწყო თავიდან, მაგრამ უცებ შეჩერდა. მოინდომა, გაეგრძელებინა იმ ადგილიდან, სადაც გაჩერდა, მაგრამ საუბედუროთ ორი სიტყვა შუაში სულ გადაავიწყდა. შეიქნა კიდევ ფურჩული. ამან ის მთლათ დააბნია და ბოლოს გაჩერდა თავ-ჩაღუნული.

— დატოვეთ დღეს უსადილოთ! სანამ ყველა სადილს არ გაათავებს აქვე კუთხეში იდგეს. თუ ლოცვა კარგა არ დაისწავლოს საღამოს თვმრონიასაც ნუ დაალევინებთ. წარმოთქვა ზედამხედველმა მკვახეთ და უგუნებოთ მეორეს უბძანა ლოცვა წაეკითხა. ბოლოს როგორც იყო, მოუსხედით სუფრას და ჭამა დაიწყეთ. საინზე რაღაც ახირებული წომპო იყო დასხმული. მაინც არ ვიყავი ჭამის გუნებაზე და ამან კი გული სულ ამირია. ვიფიქრე, ამას თუ ცოტაოდენი ღვინო არ დავატანე, საქმე სწორეთ ცუდათ არის-მეთქი. გავიხედ გამოვიხედე იქით-აქეთ. ჭიქები კი დავინახე, მაგრამ ღვინო არსად იყო.—ალბათ მოტანა დავიწყებიათ მეთქი, გავიფიქრე, კითხვით კი არავისთვის არ მიკითხავს, რადგანაც „მგელის“ მეშინოდა. ის ისევ უწინდელ ადგილზე იყო და ისევ მგლურათ იხედებოდა.

პირი მთლათ გამიშრა. ერთი ჭიქა ღვინო ყველაფერს მერჩია. მომეხასიათა საშინლათ. საჭმელზე ხელი ავიღე. გავიხედე იქით-აქეთ. კედელზე სურათები იყო ჩამოკიდებული. ერთ კუთხეში დიდი ხატი იყო დასვენებული. იმის ქვეშ კი ფეხზე იდგა უსადილოთ დატოვებული. პირზე ხელი მიეფარებია და მწარე ცრემლით ტიროდა. ზედამხედველი კიდევ კარგა ხანს იდგა იქვე და მოსწავლეებს ათვალიერებდა. მერე ჩვენდა სასიხარულოთ, როგორც იყო, მოგვშორდა.

ყველამ თავისუფლათ ამოისუნთქა. თან მოძრაობა და ლაპარაკიც გაჩნდა.

— თედორე, თედორე!—დაუწყეს ძახილი ერთ ჩვენებურ ბიჭს, რომელსაც საჭმელი შემოჭქონდა.

— რა გნებავთ, რაი! უპასუხა თავაზიანათ თედორემ.

— თედორე, ჩემთვის კოეზის მოტანა დაგვიწყებია.

—მე დანა არ მაქვს, მე ჩანგალი, ჩემთვის „ბორშჩი“ ხორცი აღარ ჩაგიდვია, ეძახოდენ ერთი-მეორეზე მოწაფეები.

თედორემ ყველას აუსრულა თხოვნა. ზოგს დანა მოუტანა, ზოგს კოეზი, ზოგს ჩანგალი და ზოგს კი ხორციც, თუმც ამ უკანასკნელებს გაეხუმრა:

— იქნება ხორციც ქე მოგიტანეთ, მარა პირმა მოგპარათო...

— აა! თედორე, რას ამბობ მაგას, არ მოგიტანია, თორემ როგორ შეგაწუხებდითო,—უპასუხებდენ სიცილით მოსწავლეები.

მე მეგონა რაკი ესენი მოითხოვეს, ღვინოსაც გაახსენებენ, მაგრამ ამის შესახებ ხმასაც არავინ იღებდა. მე კი სულ ერთიანათ ნერწყვი გიმიშრა და ერთი წვეთი ღვინო მთელს ამ სადილს მერჩია. სუფრაზე საზოგადო სიცილი, და ხუმრობა ჩამოვარდა, თან ხალისიანობაც გამეფდა.

სხვებთან ერთათ მეც გავხალისდი, მეც სხვანაირ გუნებაზე შევიქენი, სულ გადამავიწყდა ჩემი ახლანდელი მდგომარეობა. მეც დავუძახე თედორეს, ისე ვითომც დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით.

— თედორე, ერთი მეც გადმომხედე!

— რა გნებავს, ახალ ჩამოსულო, არ მოგეწონა აქაური საჭმელი!

— საჭმელი კი არა კაცო და ჭურიდან ღვინის ამოღება დაგვიწყებია! როგორ გეკადრება მაგი!..

ჩემმა სიტყვებმა ისეთი საზოგადო ხარხარი გამოიწვიეს, რომ კინაღამ გადავირიე, ნეტავი რა ვთქვი ასეთი სასაცილო-მეთქი.

— ღვინო აქ აკრძალულია,—მიპასუხა ნაღელიანათ თედორემ.

ალმზდელი, რომელიც ჩვენთან სადილობდა წამოვარდა თავის ადგილიდან და გამოძიება დაიწყო, რა მოხდაო!

— ამან ღვინო მოითხოვაო,—უთხრეს მას. ამის

შეტყობისათანავე ის საშინლათ გაბრაზდა და მაშინვე ზედამხედველთან კაცი გაგზავნა.

ჯერ-ჯერობით რაც მოხდა ჩემთვის ყველაფერი საკვირველი იყო, მაგრამ თურმე კიდევ უარესი საკვირველება მომელოდა.

„მგელი“ მალე მოვიდა და როგორც კი შეიტყო, რა დანაშაულობაც ჩავიდინე, მოვარდა პირ-და-პირ ჩემთან, დამიწყო ყვირილი და პირიდან ისეთი დორბლი გადმოჰყარა, რომ სულ დამისველა თავზე ბალანი.

— შენ აქ სასწავლებლათ გამოგზავნეს, თუ ყმაწვილების გასარყვნელათ და ცუდი მაგალითის საჩვენებლათ? აქ შენი ველური სოფელი ხომ არ გგონია. ლოთობა მოინდომე!.. არ კმარა, რომ ყველა აქაურები ლოთები ხართ? სწავლა და ლოთობა რომ არ შეიძლება ერთათ იცი? შე უსირცხვილო, შენა!.. აქ სრულებით საჭირო არ არის მოვიყვანო და ალარც კი მაგონდება რამდენი სხვა ასეთი სიტყვები ბრძანა ბატონმა ზედამხედველმა, მხოლოთ ის კი კარგათ მახსოვს, რომ მან თავისი სიტყვა ამ ბრძანებით გაათავა: — ეს ამ წამშივე, ეხლავ ჰაერიც არ გადააყლაპინოთ ისე, „კარცერში“ დაატუსაღეთ. იქნება ცოტა მაინც მოჭკვიანდესო..

ჰართენ გოთუა.

ქ. ოდესა.

(შემდეგი იქნება)

საქველმოქმედო საქმე.

ბ-ნო რედაქტორო! თანახმათ ნოვოროსიაში არსებულ გახიზნულ ქართველთა ხელის გამმართველ საზოგადოებას თუმცა ანგარიში ამ თვის პირველ რიცხვებში უნდა წარმოედგინა, მაგრამ ჩვენ მიერ დამოუკიდებელ მიზეზთა გამო დღემდე დაგვიგვიანდა. ჯერ-ჯერობით ფული შეგროვილია 70 მან. და 50 კაპ. აი, შემომწირველთა სია:

გ. ე. წერეთელმა 10 მან., ს. ს. კალანდაძემ 10 მან., დ. ბ. ჩხიკვაძემ 10 მან., ი. პ. ბახტაძემ 10 მან., ა. ე. ელიაძემ 5 მან., სტეფანე სვიმონას ძე ელიაძემ 5 მან., გრ. ანტ. სიმონეიშვილმა 2 მ. 50 კ., ნოვოროსიის ქართველმა მუშებმა 8 მან., გ. ი. სანიკიძემ 1 მან. ამანვე აღგვითქვა მუდამ თვე თითო მანეთი. პ. დგებუაძემ 1 მან., ლ. ლ. ლომთათიძემ 3 მან, ნ. ე. ჩიგოგიძემ 2 მან., ლ. ზ. ქორიძემ 1 მან. სულ 70 მან. 50 კაპ.

ეს ფული შეტანილია შესანახათ სახელმწიფო ბანკში დავით ბექანის ძის ჩხიკვაძის სახელზე. ჩვენ მივმართეთ წერილით ბ-ნ ნ ი. ნიკოლაძეს და ვთხოვეთ, თუ რა აზრის იქნებოდა ის ჩვენ მიერ განზრახულ გახიზნულთა ხელის გასამართავ საზოგადოების დაარსების შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი წერილი არ მიგვილია. რაც შეეხება ადკილობრივ სოჭის და თოხაფსოის (ტუაპსეს) ადგილ-მდებარეობას, ეს კი შვენიერათ გადმოგვცა ბ. იოსებ პ. ბახტაძემ, რომელსაც რამდენიმე წელი უცხოვრია ამ ადგილებში. „ჩვენ მამულებს არაფრით ჩამოუვარდებაო. მოდის სიმინდი, ღომი, თუთუნი და ყველა ის, რაც საზოგადოთ ჩვენ საქართველოშია, გარდა ვენახისა, ხოლო ვენახი კი ცოტა მეტს ხარჯს თხოულობს უმეტესათ თოხაფსოში. იქ რამდენიმე ქართველებიც ცხოვრებენ; უკეთ მოწყობილი არიან, ვინემ ჩვენში და ბედნიერათაც თვლიან თავიანთ თავსო; გარდა ამისა მე მყავს ერთი ნაცნობი კაცი სახელმწიფო საგანგებო მოხელე ბ. კრაევსკი, რომელსაც ძლიერ დაახლოვებით ვიცნობო და კარგი განწყობილება გვაქვსო და სხვ...

აწ მოვიქცევით ქ-ნო რედაქტორო თქვენ წინაშე და გთხოვთ ამ საქმეში თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით დახმარება გაგვიწიოთ, გთხოვთ მკაფიოთ გამოგვირკვიოთ პროგრამა ჩვენი მოქმედებისა. რასაც კარგს გვირჩევთ, ჩვენ დიდი სიამოვნებით მივიღებთ და ვეცდებით ავასრულოთ საკეთილდღეოთ ჩვენი უმიწა-წყლოთ გახიზნული ქართველებისა.

გახიზნულთა ქართველთა ხელის გამმართველი საზოგადოების წევრნი:

დავ. ჩხიკვაძე, სილ. კალანდაძე, ლეონტი ლომთათიძე.

ა დ რ ე ს ი:

Новороссійскъ. Контора Русскаго Обществ. П. и Т. Силовану КАЛАНДАЗЕ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განცხადება

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში.

(რომელსაც განაგებს ანასტასია წერეთელისა)

მიიღებენ ყმაწვილებს 26 აგვისტოდან ყოველ დღე (გარდა უქმე დღეებისა) 10 საათიდან 1 საათამდის და საღამოობით 6—7 საათამდე. (სკოლა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზე, № 3, ქალაქის სახლის გვერდით).

სკოლაში 5 განყოფილება იქნება. პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში მიიღებენ ისეთ ყმაწვილებს, რომლებმაც არ იციან რუსული და რომელთაც დედა-ენაზე ასწავლიან.

უფროს განყოფილებებში ყმაწვილებს ამზადებენ ყველა სასწავლებლებში; როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, მიიღებენ არა ნაკლებ 6 წლისას.

სკოლაში შეიძლება ყმაწვილების დაბინავება. სწავლა დაიწყება 5 ენკენისთვეს.

სასწავლებელი გიორგი ყუზანოვისა.

(მუხრანის ქუჩა, ქვრივი ყორღანოვის სახლი, № 12, ქალაქის სამკურნალოს პირდაპირ.)

ყმაწვილებს მიიღებენ 27 აგვისტოდან, სწავლა კი დაიწყება 4 ენკენისთვეს.

(2—2)

ივანე როსტომაშვილი

დაბრუნდა თბილისს და კვალად შეუდგა წიგნების გამოცემას: ვისაც ხელდრი ფული სრულად არ შემოუტანია, წიგნები აღარ გაეგზავნება, ამიტომ ვთხოვთ ფული თავის დროზე წარმოადგინონ. ჩვენი ადრესი: Тифлисъ, вторая Нагорная, № 11.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთუთხმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ათონაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოთ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ჰ. მანუელიანცს, ტფილისში.

(12—7)

კბილის ექიმი

ვ. ი. ქიქინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი, ე. საგინოვისა, სადაც „ივერიის" რედაქციაა.

განცხადება

თფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის თფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა ხუთი ვაკანსია (45): პირველ განყოფილებაში—40 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორე განყოფილებაში—5 (8 და 9 წლ. ყმაწვ.); დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 45 ვაკანსიიდან 42 არის დანიშნული გარედან მოსიარულებისათვის და სამი არის საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

3) ვინც საზოგადოების ნახევარ ხარჯზე იქნება მიღებული უნდა შემოიტანოს წელიწადში ათი თუმან-ნახევარი შემოსვლისთანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანეთი: ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4) ვისაც სურს მიღებულ იქმნას საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანების (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა თფილისის სათავად აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება ხსენებული ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, გარდა დამფუძნებლობისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოთ ისინი რომელნიც, წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლათ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა თხოვს მშობლებს, რომელთაც სრულიად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოთ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოთ იქნებიან დათხოვნილი პანსიონიდან.

8) შესაძლებელია სეკტენბერში, მოწაფეების ხელ მეორე გამოცდას შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარ ხარჯზე. ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი—ათი შემოსვლისთანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს სეკტენბრის პირველ რიცხვამდის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской Школой, на Лабораторной ул. въ д Гургинбегова.

10) სეკტენბრის, 2, 3 და 4 რიცხვებში მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. ხუთ სეკტენბერს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{96}/_{97}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს. (3—3)

Доз. ценз. Тифлисъ, Августа 31 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.